ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №917117

ნომერი: AR1158395

თარიღი : 09.09.2013

გაცემის თარიღი : 01.10.2013

გაცნობის თარიღი : 01.10.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გ. ჭყონდიდელი , N 22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯენერი მესხია პ/ნ 01007007322
- თბილისი გ.სააკაძის ქ. N 105

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენად ვადის განსაზღვრის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიი სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 09/09/2013 წელს AR1158395

განცხადებით მომართა ჯენერი მესხიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 08/12/2013 წლის #842520 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 12.08.2013 წელს ქ. თბილისში, სექტორი - ნაძალადევი, გ. ჭყონდიდელის ქუჩა, #22-ში, შპს "apollo"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი საკადასტრო კოდი #01.12.12.024.089) #842520 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აქტში ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდა დამკვეთის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის შესაბამისად. გამომდინარე აქედან, უნდა მოხდეს არა ტექნიკური შეცდომის გასწორება, არამედ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანა. აღნიშნულისათვის საჭიროა განაცხადს შეეცვალოს ნომენკლატურა და დარეგისტრირდეს ჯგუფში – სამართლებრივი საკითხები, ქვეჯგუფი – ცვლილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში. ამასთანავე, განაცხადის ტექსტი დეტალურად არ ასახავს მიზეზს, რომელიც იწვევს ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენბელბის ცვლილებას. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მითითებულის გარდა ხდება სხვა ციფრობრივი მაჩვენებლების ცვლილება, ვექტორული ფაილების ნაცვლად წარმოსადგენია გეგმები. ამასთანავე, თუ ხდება გეგმა–ნახაზების გრაფიკული ნაწილის ცვლილება უნდა მოხდეს არა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანა არამედ, კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება (ჯგუფი – მშენებლობის ნებართვა, ქვეჯგუფი – კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
შესაბამისად, ვინაიდან, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის საკმარისი 09/09/2013 წელს AR1158395 განცხადებაზე გადაწყვეტილების მისაღებად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს მას ხუთი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს დეტალური განმარტებითი ბარათი, ვექტორული ფაილები შეცვალოს გეგმებით. საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს განაცხადის ნომენკლატურის ცვლილება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე, 96–ე მუხლების თანახმად,
ვბრძანებ:
1. დაევალოს განმცხადებელს 09/09/2013 წელს AR1158395 განაცხადს შეუცვალოს ნომენკლატურა: ჯგუფი – სამართლებრივი საკითხები, ცვლილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში;
2. ხუთი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს დეტალური განმარტებითი ბარათი და ატვირთოს გეგმა–ნახაზები,
3. განემარტოს განმცხადებელს: გეგმა–ნახაზების ცვლილების შემთხვევაში საჭიროა დოკუმენტაცია წარმოადგინოს არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შესატანად (კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება);
4. პირველი და მეორე პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში 09/09/2013 წელს AR1158395 განცხადება დარჩეს განუხილველი;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვისვადაში.